საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/11/2025

MES 1 25 0001589367

გადაწყვეტილება

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის №907697 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 11 ნოემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 11 ნოემბრის №1589321 ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტი

რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზანი 1 (PO1) ისე, რომ იგი ცალსახად პასუხობდეს შრომის ბაზრის ტენდენციებს (როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე); ასევე, რეკომენდებულია, მიზანი ჩამოყალიბდეს როგორც სტრატეგიული მიზანი და არა როგორც შესასრულებელი ამოცანების უბრალო ჩამონათვალი, რაც შესაბამისად საჭიროებს პროგრამის მიზანი 3-ის (PO3) გადახედვას.

რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზანი 2 (PO2) და პროგრამის მიზანი 3 (PO3), ინტერნაციონალიზაციის კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით.

1.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს შემდეგი ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით: გამოყენებული იქნეს გაზომვადი ზმნები; სირთულის დონე შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს; ჩაირთოს „ინოვაციური მეთოდები" დარგში მიმდინარე ცვლილებების ასახვის მიზნით; ამოღებული იქნეს ისეთი თემები, რომლებიც კურიკულუმში არ არის მითითებული; დაემატოს ორენოვანი და კულტურათაშორისი კომპონენტები და გლობალური კონტექსტი, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

1.3 კომპონენტი

რეკომენდებულია, პერსონალის განვითარება: დაინერგოს რეგულარული სასწავლო სესიები და ტრენინგები შემდეგ თემებზე: სწავლის შედეგების შეფასება, შეფასების კრიტერიუმების (რუბრიკების) ერთიანად გამოყენება და შეფასების მონაცემების ანალიზი. მნიშვნელოვანია დოკუმენტირება, რომ ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატიურად ეცნობა ამ ინფორმაციას.

რეკომენდებულია, შესაძლებლობების განვითარების მექანიზმების შექმნა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს შესაძლებლობების განვითარების აქტივობები — როგორიცაა სემინარები, კოლეგიური შეფასების სესიები და შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკა — რათა გაუმჯობესდეს პერსონალის კომპეტენცია შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და ანალიზის მიმართულებით.

რეკომენდებულია, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნება და მისი გაზიარება სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისთვის. ეს გააუმჯობესებს გამჭვირვალობას და აჩვენებს, რომ პროგრამა ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.

რეკომენდებულია, დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გავლენის შესახებ: რეკომენდებულია, წარმოდგენილი იქნას კონკრეტული მაგალითები პროგრამაში ან კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებების

შესახებ, რომლებიც განხორციელდა ბოლო პერიოდში სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე. ეს გაძლიერებს შეფასების პროცესში შედეგების გამოყენების მექანიზმის სანდოობას.

1.5 კომპონენტი

რეკომენდებულია, დაემატოს კურსის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა.

რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტებს დაემატოს კურსის სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდებს შორის შესაბამისობის რუკა.

რეკომენდებულია, განახლდეს სახელმძღვანელოები და ლიტერატურის ჩამონათვალი.

რეკომენდებულია, დაემატოს სტატისტიკის კურსი, როგორც სავალდებულო კომპონენტი.

2.3 კომპონენტი

სწავლების მეთოდების გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში მკაფიოდ განისაზღვროს და მიეთითოს სასწავლო პროცესის ფორმატები და სიხშირე, ასევე, ლექტორების ადგილზე ყოფნის გრაფიკი.

4.1 კომპონენტი

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ოფიციალური დოკუმენტი, მაგალითად აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ან ექვივალენტური რეგულაცია, რომელიც ნათლად განსაზღვრავს თითოეული პროგრამის ხელმძღვანელის როლს, პასუხისმგებლობასა და დროის განაწილებას. ამ დოკუმენტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ვინ არის პასუხისმგებელი კურიკულუმის მონიტორინგსა და განახლებაზე, რათა შემცირდეს გაურკვევლობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის. გარდა ამისა, რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პროგრამის ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა და მათი ცნობადობა უნივერსიტეტის საზოგადოებაში, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია მათი როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

4.4 კომპონენტი

რეკომენდებულია, ლიტერატურის განახლება და ბიბლიოთეკის გამდიდრება შესაბამისი ელექტრონული და ბეჭდური რესურსებით, სილაბუსების აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 11 ნოემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 11 ნოემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე